#1-05/21

15.05.2021წ

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

შპს „სანი“-ს
ს/კ 406033983
მის: კოსტავას ქ. 43
ტელ: 599407507

მოგახსენებთ, რომ შპს „სანი“-ს (ს/კ 406033983) საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონებაზე, მდებარე ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა #43 (საკადასტრო კოდი: 01.15.03.010.073), 2019 წლის 20 ნოემბრის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურის ბრძანება #4737208-ით ესკიზს მიეცა დადებითი შეფასება ვერის პარკის გამწვანების პირობით. გთხოვთ შეითანხმოთ პროექტი და გასცეთ მშენებლობის ნებართვა. იმ პირობით, რომ მშენებლობის ნებართვის აღებიდან არაუგვიანეს 40 (ორმოცი) სამუშაო დღეში წარმოგიდგენთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურთან და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსთან გაფორმებულ ხელშეკრულებას ვერის ბაღის გამწვანების თაობაზე, რაც ასევე აისახება მშენებლობის გრაფიკში.

პატივისცემით,

შპს „სანი“

წარმომადგენელი: ივანე ბარბაქაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01211662054**
თარიღი: **15/06/2021**
პინი: **4797**

ადრესატი: შპს სანი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 406033983
მისამართი: მოსკოვის გამზირი, №31 "ბ"

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ზოგადი ინფორმაცია	
განცხადების ნომერი:	N 10/01211402287-18
განცხადების თარიღი:	20 მაისი, 2021
განმცხადებელი:	შპს „სანი“
მისამართ(ებ)ი; საკადასტრო კოდ(ებ)ი:	ქ. თბილისი, ვერის ბაღი (01.15.03.010.095)
მესაკუთრე:	თვითმმართველი ერთეული
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	ვერის პარკის გამწვანებასთან დაკავშირები
დასკვნა: ინფორმაციული	

სამსახურის პოზიცია

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლის შესაბამისად და სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 20 ნოემბრის #4737208 ბრძანების გათვალისწინებით, **სათანადო წესით გაცემული მშენებლობის ნებართვის არსებობის შემთხვევაში**, წინააღმდეგი არ იქნება, რომ თქვენ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ვერის პარკში), დარგოთ მწვანე ნარგავები.

ასევე, ზემოაღნიშნული მშენებლობის ნებართვის აღების შემთხვევაში, **დასარგავი ნერგ(ებ)ის ადგილმდებარეობა, დრო, რაოდენობა, სახეობა და მათი პარამეტრები უნდა შეათანხმოთ სამსახურთან.**

აქვე დავძენთ, რომ დასარგავი ნერგები უნდა იყოს დიდი ზომის ვარჯის მქონე წიწვოვანი ან/და ფოთლოვანი ხეები (ფოთლოვანის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3.5 მეტრი, ხოლო, წიწვოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3 მეტრი (ნერგის გარშემოწერილობა არანაკლებ - 20 სანტიმეტრი)).

დასარგავი მცენარ(ებ)ის სახეობა უნდა შეირჩეს პრიორიტეტული ხეების სიიდან.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი